საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 4

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

06 მაისი 2025 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე, 7. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე, ნატალია ასათიანი, გიორგი ბარათაშვილი, დავით ცხადაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, იურისტი ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 7 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურ ების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282512538 წერილი, 05.05.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიისსხდომასგააცნოთერჯოლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი;

როგორც მოგეხსენებათ ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საბავშვო ბაგა-ბაღები იმყოფებიან ავტორიზაციის მოსამზადებელ ეტაპზე.

ავტორიზაცია არის ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა.

ავტორიზაციის მიზანია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებისათვის ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2025 წლის მარტის თვიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის 6 საბავშვო ბაგა-ბაღი (თერჯოლის N3, ძევრის, გოგნის, ზდ. ალისუბნის, ზდ.საზანოს და ეწრის საბავშვო ბაღები) ექვემდებარება ავტორიზაციას. (აქედან შეირჩა სამი ბაღი)

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის დადგენილება N76 დანართი N2-ით განისაზღვრა ავტორიზაციის ოთხი სტანდარტი, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მიზნით, საჭიროებისამებრ, განსაზღვროს აღნიშნული უფლებამოსილების მათ შორის განაწილების საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,მიზანშეწონილია ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 აპრილის ,,სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" N27 დადგენილება და დამტკიცებული იქნას" თერჯოლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სდანდარტების დამტკიცების შესახებ დადგენილება, რომელიც ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის N76 დადგენილებას.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს: საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას მიმართა, რომ კომისიას განსახილველად დაეწერა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (განცხადება N 13/29251153-29, 25.04.2025 წ.), (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 14 აპრილის სხდომის ოქმი N 7) რომელიც ითხოვს თანხმობას თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ ინიციატივას;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა მიეცეს თანხმობა სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ამავე სკოლას მიანიჭოს აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელი

მუხლი 2. მომზადდეს შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: